



ს ს ი პ ლ ე ვ ა ნ ს ა მ ხ რ ა უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო გ ი ს ს ა ს ა მ ა რ ტ ლ ო ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ი ს ე რ ო ვ ნ ე ლ ი ბ ი უ რ ო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5004137920

16/09/2020 5



5004137920

საქართველოს შსს ქვემო ქართლის პოლიციის
დეპარტამენტის დეტექტივ-გამომძიებელს ზნ სერგო
შუბითიძეს

ბატონო სერგო,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი NND0000365424PR
მომართვის (ბიუროს 2020 წლის 22 ივლისის რეგისტრაციის N1004682120) საფუძველზე, გიგზავნით სამედიცინო
ექსპერტიზის N004232820 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 22 ფურცლად;

პატივისცემით,

ზენო მანჯგალაძე

ქვემო ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების
უფროსი



5004137920

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ, ორგანიზაციულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი

17.09.2025

(ხელმოწერა) ბ.





004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სამედიცინო ექსპერტიზა; ჰისტოლოგიური ექსპერტიზა; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა

დამნიშნავი:

სტრუქტურა: საქართველოს შსს

ქვესტრუქტურა: ქვემო ქართლის პოლიციის

დასახელება: დეპარტამენტი

თანამდებობა: დეტექტივ-გამომძიებელი

სახელი და გვარი: სერგო შუბითიძე

დოკუმენტის შემდგენი პირი: სერგო შუბითიძე

საფუძველი: დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის ნომერი: 036190720002

შემსრულებელი ექსპერტები:

გიორგი ოქრუაშვილი / სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 13 წლის სტაჟით.

მაია გოგიტაური / სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ჰისტოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, სპეციალობით მუშაობის 26 წლის სტაჟით.

მალსაზ ჯოხაძე / ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 13 წლის სტაჟით. ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი

თამარ კაიმაური / ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 25 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. რა არის ექსპერტიზაზე თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების უშუალო მიზეზი და როდის დადგა იგი?
2. თამარ ბაჩალიაშვილის გვამს აღენიშნება, თუ არა ძალადობის რაიმე კვალი (კვლევი)?
3. აღენიშნება თუ არა თამარ ბაჩალიაშვილის გვამს რაიმე სახის დაზიანება ან დაზიანებები? დადებით შემთხვევაში განისაზღვროს მისი (მათი) ხარისხი, ლოკალიზაცია, განვითარების (მიყენების) მექანიზმი, რით (საგანი, საგნები) შეიძლება იყოს დაზიანება ან დაზიანებები მიყენებული (ცივი იარაღი, ცეცხლსასროლი იარაღი, სხვა ნივთი) და ერთი და იგივე საგნით (საგნებით) არის თუ არა მიყენებული? განისაზღვროს დაზიანების (დაზიანებები) მიყენების (განვითარების) დრო-ხანდაზმულობა.
4. ჭრილობის (ჭრილობების) არსებობის შემთხვევაში განისაზღვროს არხის მიმართულება (მიმართულებები), ზომები და მათი პარამეტრები, სიმძიმის ხარისხი, ლოკალიზაცია, განვითარების (მიყენების) მექანიზმი, ასევე განისაზღვროს ხანდაზმულობა.



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

5. დაზიანება (დაზიანებები, მიყენებულია სიცოცხლეში, თუ სიკვდილის შემდეგ და არის (არის) თუ არა მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან?
6. თამარ ბაჩალიაშვილის სისხლში ხომ არ არის ალკოჰოლი, ნარკოტიკული, ფსიქოაქტიური, ფსიქოტროპული, მომწამლავი, ტოქსიური, ან სხვა ნივთიერებების კვალი?
7. გთხოვთ განსაზღვროთ არის თუ არა თამარ ბაჩალიაშვილის ორგანიზმში პრეპარატ []-ის [] შემცველი ნივთიერებათა კვალი.
8. გვამზე ცეცხლნასროლი ჭრილობის შემთხვევაში განისაზღვროს სროლის მანძილი და ტრექტორია.
9. შემდეგი საექსპერტო კვლევების ჩატარების მიზნით, გთხოვთ, გამოიძიების საჭიროების მიზნით, თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აიღოთ სისხლის, თმის, ანაზმენდის, ფრჩხილების ნიმუშები და ასევე თამარ ბაჩალიაშვილის გვამის წინა და უკანა ტანიდან, ასევე პირის ღრუდან აღებული იქნას ნაცხის ნიმუში, ასევე აღებული იქნას დაზიანებული კანის პრეპარატები.
10. განისაზღვროს რომელ გზაზე მიეკუთვნება ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებული სისხლი.
11. ექსპერტიზის ჩატარებას დაეწეროს საექსპერტო დაწესებულება „ემპათიას“ ექსპერტი გალინა კარბუშინა (პ.ნ. []) თარჯიმან მარიამ ცანავასთან ერთად (პ.ნ. []).
12. თამარ ბაჩალიაშვილის გვამს აღენიშნება თუ არა საქალწულო აპკის დაზიანება? (10.08.2020 წ.)
13. თამარ ბაჩალიაშვილი იყო თუ არა გარდაცვალებამდე ორსულად (ფეხმძიმედ)? (10.08.2020 წ.)
14. 2020 წლის 18 აგვისტოს N004855220 დასკვნის თანახმად - თ. ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ბიოლოგიურ ობიექტებში: კუჭში, ღვიძლში, ნაღვლის ბუშტში, ნაწლავში, თირკმელში და კუნთში აღმოჩნდა: [] (პრეპარატ [] ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერება), [] და [] კვლები, ასევე, ეთილის სპირტი - 0,39% (კუნთი), 0,28% (ღვიძლი) - სავარაუდოდ გვამური ლჰობის შედეგი). გთხოვთ დამატებით სათანადო საექსპერტო კვლევის შედეგად განსაზღვროთ თ. ბაჩალიაშვილის ორგანიზმში, კერძოდ: კი ზემოთ ხსენებულ ორგანოებში და კუნთის ქსოვილში, საიდან - რა გზით მოხვდა დასახელებული პრეპარატების ([] და []) კვლები და მოგვეცეთ დასკვნა.
15. ასევე გთხოვთ, განსაზღვროთ, ჩამოთვლილი პრეპარატები (დასკვნაში მითითებული ოდენობით) შესაძლებელია, თუ არა კუჭში მოხვედრილიყო ინექციის შედეგად - სისხლიდან, თუ აღნიშნული მოხვედრილია საყლაპავი გზით - პრეპერატის ან/და მათი შემცველი სითხის მიღების შედეგად?

შემოსვლის თარიღი: 22/07/2020 წ

გასვლის თარიღი: 16/09/2020 წ

დასკვნა

1. გვამის სასამართლო სამედიცინო, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევისა და საქმის მასალების შეჯამების შედეგად თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი უნდა იყოს მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია. გვამიდან აღებულ ბიოლოგიურ ობიექტებში აღმოჩნდა:

[] (პრეპარატ [] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი): 219.4 მგ/კგ (ღვიძლი) - ლეტალური რაოდენობა;

[] (პრეპარატ [] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი): 16.9 მგ/კგ (ღვიძლი)- ლეტალური რაოდენობა;

[] (პრეპარატ [] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი);

[] (პრეპარატ [] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი).

[] [] [] სასაბუღალტრო ეროვნული მემკვიდრეობის მინიმალური სინერგისტული მოქმედებით (აღლიერებენ ეროვნული მემკვიდრეობის ორგანიზმზე).

თამარ ბაჩალიაშვილის გვამის გამოკვლევისას (22.07.2020 წ. 21:30 სთ) ნანახი გვამზე არსებული სიკვდილის შემდგომი გვამური ცვლილებების მონაცემებით, ჩატარებული საგამომიებო ექსპერტიზის დროს მიღებული გარემო და მანქანაში არსებული



004232820

ტემპერატურის და ტენიანობის გათვალისწინებით, მისი სიკვდილიდან გასულია დაახლოებით 4 დღე.

2,3,4,5,8. თამარ ბაჩალიაშვილის გვამზე მექანიკური დაზიანების რაიმე ნიშნები (მათ შორის ინექციის (ნანემსრების) კვალი) არ აღინიშნება.

12. საშოს შესავალში, ღრუში და ანუსში აღინიშნება მრავლობითი მატლები, რომელთა მიერაც განადგურებულია ანუსის და საშოს რბილი ქსოვილები, ასევე საქალწულე აპკი. აღინიშნულ მიდამოებში მექანიკური დაზიანებები არ აღინიშნება.

13. თამარ ბაჩალიაშვილი სიკვდილის მომენტში არ იყო ორსულად.

14-15. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევით თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ბიოლოგიურ ობიექტებში აღმოჩენილი [redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი), [redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი), [redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) და [redacted] ([redacted] ის ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) ორგანოებში განაწილების თანაფარდობა დამახასიათებელია ნივთიერების პერორალური (პირის ღრუს) გზით და არა საინექციო გზით მიღების შემთხვევაში. პრეპარატების მოხვედრა თამარ ბაჩალიაშვილის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (დასკვნაში მითითებული ოდენობით) შესაძლებელი იყო მხოლოდ ორალური გზით („საყლაპავის გზით“) და არა ინექციის გზით („სისხლიდან“).

11. ექსპერტიზის ჩატარებას ესწრებოდნენ საექსპერტო დაწესებულება „ემპათიას“ ექსპერტი გალინა კარმუშინა (პ.ნ. [redacted]) თარჯიმან მარია ცანავასთან ერთად (პ.ნ. [redacted]).

დადგენილებაში არსებული მითითების თანახმად, აღნიშნული პირები ექსპერტიზაში მონაწილეობდნენ დამსწრის სტატუსით და დაესწრნენ გვამის გამოკვლევას.

გიორგი ოქრუაშვილი

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ბიოლოგიურ ობიექტებში: ღვიძლი, კუჭი, თირკმელი, ნაწლავი, კუნთი აღმოჩნდა:

[redacted]: 219.4 მგ/კგ (ღვიძლი) ლეტალური რაოდენობა (იხ. ცხრილი); 753.2 მგ/კგ (კუჭი); 0.95 მგ/კგ (თირკმელი); 4.5 მგ/კგ (ნაწლავი); 132.1 მგ/კგ (კუნთი);

[redacted]: 16.9 მგ/კგ (ღვიძლი) ლეტალური რაოდენობა (იხ. ცხრილი); 4.8 მგ/კგ (კუჭი); 12.4მგ/კგ (თირკმელი); 188.3 მგ/კგ (ნაწლავი); 7.7 მგ/კგ (კუნთი);

[redacted]: 0.014 მგ/კგ (ღვიძლი); 0.018 მგ/კგ (კუჭი); 0.017 მგ/კგ (თირკმელი); 0.06 მგ/კგ (ნაწლავი); 0.016 მგ/კგ (კუნთი);

[redacted]: 11.5 მგ/კგ (ღვიძლი); 8.6 მგ/კგ (კუჭი); 20.0 მგ/კგ (თირკმელი); 15.7 მგ/კგ (ნაწლავი); 0.34 მგ/კგ (კუნთი);

ნაღვლის ბუშტში აღმოჩნდა: [redacted] და [redacted], რომელთა რაოდენობრივი ანალიზი ვერ ჩატარდა კვლევით ნაწილში მითითებული მიზეზის გამო.

ეთილის სპირტი: 0.39‰ (კუნთი); 0.28‰ (ღვიძლი) (სავარაუდოდ გვამური ლპობის შედეგი);

არ აღმოჩნდა:

მეთილის და იზოპროპილის სპირტები;

ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები: [redacted]

[redacted]

[redacted]


[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

აქროლადი ტოქსიკური ნივთიერებები: [redacted]



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

მეტალები:

ქლორორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდები:

შენიშვნა : ბიოლოგიური ობიექტები განიცდიდა ლობობას.

ბაკურიანის ცარიელ ბოთლში არსებულ გამჭირვალე უფერო სითხის წვეთებში აღმოჩნდა β1 ადრენორეცეპტორების მახლოკირებელი საშუალება და Hi-ჰისტამინური რეცეპტორების მახლოკირებელი (სამილე) საშუალება

ტაბლეტის ფორმით არსებული მედიკამენტის შემადგენლობიდან გამომდინარე, მათი სითხეში, მათ შორის წყალში გახსნისას მიიღება სუსპენზია (სითხეში შეტენარებული სხვადასხვა ზომის მყარი ნაწილაკები) ანუ, ასეთ შემთხვევაში სითხე იქნება შემღვრელი და არა გამჭვირვალე და უფერო.

ამავე დროს, ბაკურიანის ცარიელ ბოთლში არსებულ გამჭირვალე უფერო სითხის წვეთებში აღმოჩნდა β1 ადრენორეცეპტორების მახლოკირებელი საშუალება და Hi-ჰისტამინური რეცეპტორების მახლოკირებელი (სამილე) საშუალება კვალის სახით, რაც გამოიწვევს ტაბლეტების გახსნას ბოთლში, რადგან ქიმიური ანალიზის შედეგად აღნიშნული ნივთიერებები აღმოჩნდებოდა არა კვალის სახით, არამედ უფრო დიდი რაოდენობით.

მალხაზ ჯოხაძე *[Handwritten Signature]*

თამარ კაიშაური *[Handwritten Signature]*

გამოკვლევა

საქმის გარემოება: როგორც დადგენილებიდან ირკვევა, 22 ივლისს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. მაწევანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზუჭქნარის მასივში ნანახი იქნა მის კუთვნილ ავტომანქანა HYUNDAI ACCENT სახ. ნომრით UU448XX თამარ ბაჩალიაშვილის გვამი.

გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერება (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი - 22.07.2020 წ 13:35-19:20 სთ): მანქანის უკანა სავარძელზე მარჯვენა გვერდზე-ოდნავ უკან გადაწოლილ მდგომარეობაში ასვენია გვამი, ფეხები მუხლებში მოხრილია და გადაშვებულია სავარძლიდან ძირს, ტერფების მიმდებარედ ალაგია თეთრი ფერის ბოტასები და წინა საქარე მინაზე ასაკრავი, მზისგან დამცავი ამრეკლი. გვამს მთელ სხეულზე და მასზე არსებულ ტანსაცმელზე ახვევია მოთეთრო-მოყვითალო ფერის, სხვადასხვა ზომის მატლები და ბუზები. გვამს აცვია თეთრი ფერის, მოკლესახელოებიანი მორუხო-მოყვითალო ფერის სითხით (ლობითი) გაჟღენთილი მაისური, ასეთივე სითხით გაჟღენთილი ლიფი. შავი ფერის ჯინსის შარვალი და თეთრი ფერის წინდები. გვამს ასდის მყრალი, ლობობისათვის დამახასიათებელი სუნნი; გვამის კანის საფარველი არის მოშავო, მორუხო ფერის, სველია ლობობითი სითხით; გვამი ხელის შეხებით ცივია და გვამური გაშეშება მოხსნილია, გვამური ლაქები არ განირჩევა. ქუთუთოები და პირი ღიაა, თვალის კაკლები ჩაფუშულია; თვალბუდეებში, ცხვირის ნესტოებში და პირის ღრუში ახვევია მრავლობითი მატლები; გვამზე გარეგნულად, ტანსაცმლით დაუფარავ მიდამოებში, ფიზიკური დაზიანების რაიმე ნიშნები არ აღენიშნება. გვამი მოთავსდა შავი ფერის სპეციალურ ტომარაში და გაიგზავნა ქ. თბილისში - სეგმ სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში.



004232820

გვამის გარეგნული დათვალიერება: სასექციო მაგიდაზე, გვამის შავი ფერის ტომარაში მოთავსებულია და გულალმა მდგომარეობაში ასენია სიგრძით 160 სმ, წონით 41 კგ. მდედრობითი სქესის გვამი, რომელსაც აცვია: მოკლესახელოებიანი მაისური, ბიუსტჰალტერი, ჯინსის შარვალი, ტრუსი, წინდები. მარცხენა წინამხარზე უკეთია შავი ფერის რეზინის ელასტიური ნაჭრის თმის სამაგრი. ტანსაცმელზე რაიმე დაზიანება არ აღინიშნება, ბიუსტჰალტერი და შარვალი შეკრულია. ტანსაცმელი გაჟღენთილია მორუხო-მოყვითალო ფერის, მყრალი სუნის მქონე სითხით, რის გამოც მაისურის და წინდების დიდი ნაწილი მორუხო-მოყვითალო შეფერილობისაა. გვამს ტანზე (უპირატესად თავზე, სახეზე, კისერზე, ბეჭების და ქედების მიდამოში, ნაწილობრივ გულმკერდის წინა ზედაპირზე, წელის მიდამოში მარცხნივ, შორისის არეში) ასევეა დიდი რაოდენობით მოთეთრო-მოყვითალო ფერის, 0,5-1,5 სმ სიგრძის ცოცხალი მატლები, რომელთა მიერ ნაწილობრივ განადგურებულია თავის და სახის რბილი ქსოვილები, თვალბუდეების რბილი ქსოვილები და თვალის კაკლები, პირის და ცხვირის ღრუს ლორწოვანი; წელის მიდამოში (უპირატესად მარჯვნივ), გულმკერდის უკანა ზედაპირზე (მარჯვნივ), ბეჭზე და ქედის მიდამოში (ორმხრივ) მატლები განლაგებულია ჯგუფად (კოლონიებად), აღნიშნულ მიდამოებში კანზე და კანქვეშა რბილ ქსოვილებზე აღინიშნება მწერების მოქმედების კვალი, რომელთა სანათურში აღინიშნება მატლები. (შენიშვნა: აღნიშნულ მიდამოების შესაბამისად, ხერხემლის გასწვრივ შესრულებულ განაკვეთზე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები არ აღინიშნება – იხილეთ შინაგანი გამოკვლევა).

გვამი ხელის შეხებით ცივია. კანის საფარველი უპირატესად მორუხო-მომავო-მოყავისფრო-მოყვითალო ფერისაა, დუნდულოების და ბარძაყების ზემო მესამეებში მოთეთრო-მორუხო. მტკვნების, ტერფების თითები, წვივების და მუხლის სახსრების კანი გამომშრალია, ალაგ მოშავოა და მოყვითალო შეფერილობის. გარდა გამომშრების მიდამოებისა, გამოსატულია გვამური ემფიზემა. გვამს გულმკერდის, მუცლის, ბარძაყების წინა ზედაპირებზე, ასევე ორივე მხრის და მარცხენა წინამხრის გარეთა ზედაპირებზე და გამოხატული აქვს ლპობითი ვენური ბადე. გვამური გაშეშება მოხსნილია. ხელის შეხებით კანის ზედაპირული შრე ადვილად სცილდება, ალაგ ავლილია. ქუთუთოები ღია, თვალის კაკლები ჩაფუჭულია. პირი ღიაა, ენა შესიებულია და პირის ღრუში მდებარეობს. გარეთა სასქესო ორგანოები ჩვეულებრივად ფორმირებული. თავზე თმოვანება შერჩენილი აქვს მხოლოდ შუბლის მიდამოში, სხვა მიდამოებში მოცილებულია და მიმდებარედ მდებარეობს. შერჩენილი თმოვანება ხელით გასინჯვით ადვილად სცილდება კანის საფარველს. კისერი საშუალო სიმაღლის, გულმკერდი ცილინდრული, მუცელი ოვალური. ხელის შეხებით სახეში, გულმკერდში და კიდურებში შემავალი ძვლები მთელია. ბუნებრივი ხერხელები თავისუფალია რაიმე გამოწვევისაგან. საშოს შესავალში, ღრუში და ანუსში აღინიშნება მრავლობითი მატლები, რომელთა მიერ განადგურებულია საქალწულე აკვი, საშოს და ანუსის ლორწოვანი და ნაწილობრივ ანუსის და საშოს რბილი ქსოვილები. აღნიშნულ მიდამოებში მექანიკური დაზიანებები არ აღინიშნება. **გვამზე გარეგნულად მექანიკური დაზიანების რაიმე ნიშნები არ აღინიშნება.**

გვამის შინაგანი გამოკვლევა: კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი სუსტად განვითარებული. ცხიმოვანი მოყვითალო-მორუხო, მუცლის წინა კედელზე აღწევს 1,1 სმ-ს. კუნთები განაკვეთზე მორუხო-მოწითალო ფერის. შინაგანი ორგანოები ძალზე დუნე კონსისტენციის, ასდის ლპობისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი. ხერხემლის გასწვრივ გაიკვეთა კანი და კანქვეშა რბილი ქსოვილები, განაკვეთიდან დათვალიერდა ხერხემალი. ძვალსახსროვანი სისტემა ტრავმული ცვლილებების გარეშე.

თავის ქალას ღრუ: თავის ქალას რბილი საფარი ალაგ განადგურებულია სხეულზე არსებული მატლების მიერ. თავის ქალას რბილი საფარის შიგნითა ზედაპირი მოწითალო-მორუხო. თავის ტვინის მაგარი გარსი მთელია, არ არის დაჭიმული, მოვარდისფრო-მოწითალო ელფერისაა. თავის ტვინის ნივთიერება წარმოდგენილია მორუხო-მომწვანო ფერის უსტრუქტურო, მყრალი ხუნის მქონე ფაფისმაგვარი-მასის სახით, რომელზეც რაიმე ანატომიური აღწერილობის გაკეთება შეუძლებელია. ქალასარქველის და ფუძეში შემავალი ძვლები მთელია. **გულმკერდის ღრუ:** პლევრის ღრუებში შეხორცებები არ აღინიშნება. პლევრის ფურცლები სადაა, დაბინდული, ღრუები შეიცავს მომღვრიო ფერის, მყრალი სუნის მქონე სითხეს 100 მლ-მდე. გულის პერანგი მთელია, შეიცავს ასეთივე ხასიათის მქონე სითხეს 15 მლ-მდე. დიაფრაგმის გულმათის დგომა მარცხნივ მე-4 ნეკნების დონე. **მუცლის ღრუ:** მისი გახსნისას წნეხით გამოიყო მყრალი სუნის მქონე აირები. მუცლის ფარი სადა, მორუხო-მომწვანო, ჭუჭყიანი ელფერით. ბადექონი და ჯორჯალი შეიცავს ცხიმის მცირე რაოდენობას, რომელიც ლღობის ფაზაშია. ნაწლავების მარყუქები და კუჭი შებერილი. მუცლის ღრუს ორგანოების განლაგება ჩვეულებრივი. მუცლის ღრუში აღინიშნება მორუხო ფერის მყრალი სითხე 250 მლ-მდე. **სისხლის მიმოქცევის ორგანოები:** გულის წონაა 70,0 გრამი. დუნე კონსისტენციის, ასდის ლპობისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი. გულის მკვეთავი სისხლძარღვები ელასტიური და გამავალია. გულის კუნთი განაკვეთზე მოწითალო-მორუხო ფერის, ძალზე დუნე კონსისტენციის. გულის ღრუები ცარიელია. ფილტვის არტერიების და აორტის ინტიმა დაბინდული. **სასუნთქი ორგანოები:** ხორხის, სასულეს და ბრონქების ლორწოვანი ჭუჭყიანი მოვარდისფრო-მორუხო ელფერის. სანათურში აღინიშნება მყრალი სუნის მქონე, მორუხო ფერის მცირე რაოდენობით სითხე. ფილტვების წონა: მარჯვენა – 270,0 გრ, მარცხენასი – 230,0 გრ. დუნე კონსისტენციის, თითებს შორის იზილება, ასდის მყრალი. ლპობისათვის დამახასიათებელი სუნი. ფილტვები განაკვეთზე ჭუჭყიანი მოწითალო-მორუხო, ზეწოლით გადმოდის მორუხო-მოწითალო სითხე მცირე რაოდენობით. **საჭმლის მომწოდებელი ორგანოები:** პირის ღრუს ლორწოვანი ჭუჭყიანი მორუხო-მოვარდისფრო, ალაგ განადგურებულია მატლებით მიერ. ენა პირის ღრუშია, ჭუჭყიანი მოწითალო-მოყავისფრო ფერისაა. კუჭი შეიცავს მყრალი სუნის მქონე, ბლანტ მორუხო ლპობით სითხეს ძალზე მცირე რაოდენობით და დიდი რაოდენობით ლპობით აირებს. კუჭის ლორწოვანი მოვარდისფრო-მორუხო, ნაოჭიანობა გასადავებული. ნაწლავთა მარყუქები შებერილი, მსხვილი და



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

სწორი ნაწლავი შეიცავს ზომიერი რაოდენობით მოყვითალო-მოყავისფრო ფერის მყრალი სუნის მქონე განავლოვან მასებს. ნაწლავთა კედლები მომწვანო-მორუხო შეფერილობის, ალაგ მოვარდისფრო ელფერის, ლორწოვანი გასადავებული. ღვიძლის წონაა 540.0 გრ. ზედაპირზე მორუხო-წაბლისფერი, სადა, ძალზე დუნე კონსისტენციის, განაკვეთზე ჭუჭყიანი მორუხო ფერის, ასდის ლობობისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი. შეხებისას თითებს შორის ისრისება: ნაღვლის ბუმტი მთელია, ჩაფუშულია, ნაღველს არ შეიცავს. ნაღვლის ბუმტის ლორწოვანი ჭუჭყიანი მუქი მომწვანო-მორუხო. კუჭუკანა ჯირკვალი დუნე კონსისტენციის, თითებს შორის ისრისება, განაკვეთზე ჭუჭყიანი მოწითალო-მოყავისფრო ელფერის. **შარდ-სასქესო ორგანოები:** თირკმელების განლაგება და მოყვანილობა ჩვეულებრივი. მარჯვენა თირკმელის წონაა 70,0 გრამი, მარცხენასი – 70,0 გრამი. განაკვეთზე ჭუჭყიანი მოწითალო-მორუხო, ძალზე დუნე კონსისტენციის, ასდის ლობობისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი. საზღვარი შრეებს შორის წაშლილია. თირკმლის მენჯები და ფიალები თავისუფალი. შარდის ბუმტი ცარიელი, ლორწოვანი მორუხო-მომწვანო ელფერის. საშვილოსნო და მისი დანამატები ჩვეულებრივი მოყვანილობის, განაკვეთზე მოწითალო-მორუხო, ასდის ლობობისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი. საშვილოსნო დილატირებული არ არის, ღრუ თავისუფალია. **სისხლმზადი ორგანოები:** ელენთის წონაა 40,0 გრ. მეტისმეტად დუნე კონსისტენციის, ხელის შეხებით ადვილად იშლება, განაკვეთზე ჭუჭყიანი მოწითალო-მორუხო ელფერის. ასდის ლობობისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი. **შინაგანი სეკრეციის ორგანოები:** განიცდიან ლობობით ცვლილებებს, ასდის ლობობისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნი.

შენიშვნა: გვამიდან აღებულია: 1) შინაგანი ორგანოები (კუჭი, ღვიძლის ნაწილი ნაღვლის ბუმტთან ერთად, თირკმელი, წერილი ნაწლავის ფრაგმენტი) და სუკის კუნთი ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ გამოკვლევაზე; 2) შინაგანი ორგანოების ნაჭრები ჰისტოლოგიურ გამოკვლევაზე; 3) ფრჩხილების ნიმუშები მტენებიდან 2 პაკეტად (გადაეცა გამომძიებელს); 4) თმების ნიმუშები 7 პაკეტად (გადაეცა გამომძიებელს); 5) ნაგბი პირიდან, საშოდან და უკანა ტანიდან 3 ნიმუში (გადაეცა გამომძიებელს); 6) სუკის კუნთის ნიმუში მოთავსებული 20 მლ-იან შპრიცში (გადაეცა გამომძიებელს) (სისხლის არარსებობის გამო, მისი ნიმუშის აღება ვერ მოხერხდა); 7) ტანსაცმელი (გადაეცა გამომძიებელს); 8) მატლების ნიმუშები 2 სტერილურ ქილაში 2 პაკეტად. ყველა ნივთმტკიცება დაილუქს ექსპერტიზის ნივთმტკიცების პაკეტებში (ინახება სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში).

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: გვამისა და შინაგანი ორგანოების მკვეთრად გამოხატული შორსწასული ლობობითი ცვლილებები: გამოხატული ლობობითი ვენური ბადე და ლობობითი გვამური ემფიზემა, თმოვანი საფარველის სრულად მოცილება, ეპიდერმისის აშრეება-მოცილება, მტენების, ტერფების თითების, წვივების და მუხლის სახსრების კანის გამოშრობა; მრავლობითი მატლების არსებობა სხეულზე და მათ მიერ ნაწილობრივ თვალბუდეების რბილი ქსოვილების და თვალის კაკლების, ცხვირის და პირის ლორწოვანის, ანუსის და საშოს რბილი ქსოვილების, საქალწულე აპკის, ასევე სახის რბილი ქსოვილების და თავის ქალას რბილი საფარის განადგურება.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევით აღებულ ბიოლოგიურ ობიექტებში აღმოჩნდა:

219.4 მგ/კგ (ღვიძლი), მინიმალური ლეტალური რაოდენობა: 6.3 მგ/კგ; 753.2 მგ/კგ (კუჭი); 0.95 მგ/კგ (თირკმელი); 4.5 მგ/კგ (ნაწლავი); 132.1 მგ/კგ (კუნთი);

16.9 მგ/კგ (ღვიძლი), მინიმალური ლეტალური რაოდენობა: 14 მგ/კგ; 4.8 მგ/კგ (კუჭი); 12.4მგ/კგ (თირკმელი); 188.3 მგ/კგ (ნაწლავი); 7.7 მგ/კგ (კუნთი);

0.014 მგ/კგ (ღვიძლი); 0.018 მგ/კგ (კუჭი); 0.017 მგ/კგ (თირკმელი); 0.06 მგ/კგ (ნაწლავი); 0.016 მგ/კგ (კუნთი);

11.5 მგ/კგ (ღვიძლი); 8.6 მგ/კგ (კუჭი); 20.0 მგ/კგ (თირკმელი); 15.7 მგ/კგ (ნაწლავი); 0.34 მგ/კგ (კუნთი).

ეთილის სპირტი: 0.39⁰/oo (კუნთი); 0.28⁰/oo (ღვიძლი); (სავარაუდოდ გვამური ლობობის შედეგი).

გიორგი ოქრუაშვილი

სასამართლო ჰისტოლოგიური გამოკვლევა

გამოკვლევითი ნაწილი: ობიექტების აღწერა-სასამართლო ჰისტოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოში შემოვიდა დალუქულ ქილაში თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებული ორგანოთა ნაჭრები: თავის ტვინი-1, გული-2, ფილტვი-4,



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

ღვიძლი-1, თირკმელი-2, ელენთა-1 ნაჭერი. ნაჭრებს ესხა ფორმალინის ხსნარი.

პრეპარატების დამზადების მეთოდი: შემოსული მასალისგან ამოჭრილი იქნა სტანდარტული ზომების ჰისტოლოგიური ობიექტები, რომლებიც დამატებითად ფიქსირებული იქნა ფორმალინის 10%-იან ხსნარში. ჰისტოლოგიური მასალის გატარება მოხდა ავტომატურ რეჟიმში პროცესორის LEICA ASP300S საშუალებით სტანდარტული პროგრამით. ობიექტების პარაფინში ჩაყალიბება განხორციელდა LEICA EG 1050H აპარატის საშუალებით, გამყინავი კამერის LEICA EG 1150 C გამოყენებით. ჰისტოლოგიური ანათლეზი მიღებული იქნა ნახევარავტომატურ მიკროტომზე LEICA RM 2245. პარაფინიანი ანათლეზის დეპარაფინიზაცია და რუთინული ჰემატოქსილინ-ეოზინის მეთოდით შეღებვა მოხდა ავტომატურ რეჟიმში LEICA RM 4040 სტეინერზე. პრეპარატების რაოდენობა: 46.

გამოკვლევა ჩატარდა Daffodil MCX 100 ტრინოკულარული მიკროსკოპის გამოყენებით სხვადასხვა გადიდებაზე.

პრეპარატების აღწერა:

თავის ტვინი - თავის ტვინის და რბილი გარსების გამოხატული ლობითი ცვლილებები.

გული - მიოკარდიუმის ლობითი ცვლილებების ფონზე პარენქიმის სტრუქტურა წაშლილია ოპტიკურად ცარიელი კერებით. სისხლძარღვთა ირგვლივ აღინიშნება ცხიმოვანი ქსოვილის სუსტი პროლიფერაცია.

ფილტვი - ფილტვის პარენქიმა და სტრომა წარმოდგენილია ერთგაროვანი ეოზინოფილური მასებით, ოპტიკურად ცარიელი კერებით. სისხლძარღვებში აღინიშნება ალაგ ჰემოგენური, ალაგ მარცვლოვანი ხასიათის ვარდისფერში შეღებილი მასები.

ღვიძლი - ღვიძლის პარენქიმაში და სტრომაში აღინიშნება მკვეთრად გამოხატული ლობითი ცვლილებები, ოპტიკურად ცარიელი კერებით.

თირკმელი - თირკმლის გორგლების, საშარდე მილაკების, სტრომის სტრუქტურების მიკროსკოპული შენება წაშლილია ლობითი ცვლილებების გამო.

ელენთა - ელენთის პულპის სტრუქტურა წაშლილია, პრეპარატებში აღინიშნება ოპტიკურად ცარიელი კერები პულპაში.

სასამართლო ჰისტოლოგიური დიაგნოზი:

შინაგანი ორგანოების: თავის ტვინის, გულის, ფილტვების, ღვიძლის, თირკმელების, ელენთის მკვეთრად გამოხატული ლობითი ტრანსფორმაცია.

მაია გოგიტაური

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაზე საკვლევი ბიოლოგიური ობიექტები წარმოდგენილია სეებ-ის №7 პაკეტით შტრიხ-კოდი 0015019 დალუქული სახით სასამართლო სამედიცინო ექსპერტ გ. ოქრუაშვილის ხელმოწერით. პაკეტის და ლუქის მთლიანობა დარღვეული არ არის.

ბიომასალაში ეთილის სპირტის შემცველობაზე კვლევა ჩატარდა გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდის გამოყენებით შემდეგ პირობებში:

- ხელსაწყო - Agilent 7890A GC-G1888 Headspace
- დეტექტორი - ალურ-იონიზაციური
- აირ-მატარებელი - აზოტი (5.5 მლ/წთ)
- სვეტი - DB -ALC1 (30მx 0.530 მკმ X 3 მკმ); DB -ALC2 (30მx 0.530 მკმ X 2 მკმ);
- ღუმელის ტემპერატურა - 40°C, 5წთ (რეჟიმი-იზოთერმული)
- ინექტორის ტემპერატურა - 250°C
- დეტექტორის ტემპერატურა - 300°C
- ანალიზი ჩატარდა შიდა სტანდარტის (0.8% ω პროპანოლი) გამოყენებით.

ბიომასალაში ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველობის სკრინინგ კვლევა ჩატარდა



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

ჰეტეროგენული იმუნოფერმენტული (ELISA) ანალიზის მეთოდით შემდეგ პირობებში:

პლანშეტის უჯრედებში მოთავსდა 25-25 მკლ საკვლევი ობიექტი, ნულოვანი და დადებითი კონტროლის სტანდარტები. თითოეულ უჯრედს დაემატა 100-100 მკლ ენზიმი. ოთახის ტემპერატურაზე 30 წთ დაყოვნების შემდეგ პლანშეტი გაირეცხა ბუფერული ხსნარით. უჯრედებს დაემატა 100-100 მკლ სუბსტრატი და 30 წთ დაყოვნების შემდეგ უჯრედებში მოთავსდა 100-100 მკლ რეაქციის შემაჩერებელი ხსნარი.

მეტალებზე ანალიზი ჩატარდა სასამართლო-ქიმიური გამოკვლევით.

აქროლადი (ადვილად, ნახევრად და ძნელად აქროლადი) ტოქსიკური ნივთიერებების გამოკვლევის მიზნით ბიოლოგიური ობიექტები და მათი პარაფაზული აირადი ფაზები გაანალიზდა გაზურ ქრომატოგრაფიული მასსპექტრომეტრული მეთოდით:

აპარატი - Agilent Technologies 7890 A GC System, 7000 GC/MS/MS Triple Quad;

სვეტი - Elite 5-MS; 30m X 250 µm X 0.25 µm;

ლუმელის ტემპერატურა - 40°C -310°C (რეჟიმი-პროგრამული);

ინჟექტორის ტემპერატურა - 250°C;

ტრანსფერლინის ტემპერატურა - 310°C;

აირმატარებელი - ჰელიუმი - 1მლ/წთ;

იონიზაციის წყარო EI - 70 ev ;

სკანირების რეჟიმი - TIC (35 - 500 Da)

ბიოლოგიურ ობიექტში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, ქლორორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდების და ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერების თვისობრივი ანალიზი ჩატარდა გაზურ ქრომატოგრაფიული მასსპექტრომეტრული მეთოდით:

აპარატი - Agilent Technologies 7890B GC System /5977A MSD:

სვეტი - Elite 5-MS; 30m X 250 µm X 0.25 µm;

ლუმელის ტემპერატურა - 50°C -310°C (რეჟიმი-პროგრამული);

ინჟექტორის ტემპერატურა - 250°C;

ტრანსფერლინის ტემპერატურა - 310°C;

აირმატარებელი - ჰელიუმი - 1მლ/წთ;

იონიზაციის წყარო EI - 70 ev ;

სკანირების რეჟიმი - TIC (40 - 500 Da)

საანალიზო ობიექტებში სამიზნე ნივთიერებების აღმოჩენის მიზნით ქრომატოგრამებზე მიღებული ნივთიერებების ინდივიდუალური მასსპექტრები ავტომატურ და მანუალურ რეჟიმში შედარდა NIST მონაცემთა ბაზას.

ბიოლოგიურ ობიექტში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერების თვისობრივ რაოდენობრივი ანალიზი და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების კვლევა ჩატარდა სითხურ ქრომატოგრაფიული ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდით (LC-MS/MS):

აპარატი: Agilent technologies 1290 Infinity Agilent technologies, 6460 Triple quad LC/MS

სვეტი, სტაციონარული ფაზა: SunFire C18 (100 X 4.6 mm, 3.5µm)



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

სვეტის ტემპერატურა: 35° C
მომრავი ფაზა: 0.1 % HCOOH (H₂O) : 0.1 % HCOOH (CH₃CN) =95 : 5 (V/V), გრადიენტული რეჟიმი
მომრავი ფაზის სიჩქარე: 0.8 მლ/წთ
სკანირების რეჟიმი: MRM
იონიზაციის ტიპი: ESI +

საკვლევ ობიექტებში სამიზნე ნივთიერებები იდენტიფიცირებულ და რაოდენობრივად განსაზღვრულ იქნა მულტი რეაქციული მონიტორინგის (ტრანზაქციების) ექსპერიმენტით.

- [redacted] [M+ H], m/z : 268 →191; 268 →121; **268 → 116**; 268→74;
- [redacted] [M+ H], m/z: 271 → 182; **271 →167**; 271→ 90;
- [redacted] [M+ H], m/z: **206 → 161**; 206 →119; 206 →91;
- [redacted] [M+ H], m/z: 230 →213; 230→ 160; **230 →133** ; 230→ 44

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ყველა ბიოლოგიურ ობიექტში LC-MS/MS (MRM) კვლევებით აღმოჩნდა:

- [redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი): 219.4 მგ/კგ (ღვიძლი); 753.2 მგ/კგ (კუჭი); 0.95 მგ/კგ (თირკმელი); 4.5 მგ/კგ (ნაწლავი); 132.1 მგ/კგ (კუნთი);
- [redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი): 16.9 მგ/კგ (ღვიძლი); 4.8 მგ/კგ (კუჭი); 12.4მგ/კგ (თირკმელი); 188.3 მგ/კგ (ნაწლავი); 7.7 მგ/კგ (კუნთი);
- [redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი): 0.014 მგ/კგ (ღვიძლი); 0.018 მგ/კგ (კუჭი); 0.017 მგ/კგ (თირკმელი); 0.06 მგ/კგ(ნაწლავი); 0.016მგ/კგ(კუნთი);
- [redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი): 11.5 მგ/კგ (ღვიძლი); 8.6 მგ/კგ (კუჭი); 20.0 მგ/კგ (თირკმელი); 15.7 მგ/კგ (ნაწლავი); 0.34 მგ/კგ (კუნთი);

შენიშვნა 1: ნაღვლის ბუმბი მასით 4 გ-მდე არ შეიცავდა ნაღველს და წარმოდგენილი იყო მხოლოდ ცარიელი, დაჩუტული კედლებით. თავდაპირველად მასზე ჩატარდა თვისებრივი კვლევები, ხოლო დარჩენილი რაოდენობა 0.2 გ-მდე არ იყო საკმარისი რაოდენობრივი ანალიზისათვის.

ბიოლოგიურ ნიმუშებში სამიზნე ნივთიერებების ანალიზის მულტი რეაქციული მონიტორინგის ექსპერიმენტის სპეციფიკურობა შემოწმებულ იქნა ნულოვანი ბიოლოგიური ნიმუშების მიმართ;

ბიოლოგიურ ობიექტებში სამიზნე ნივთიერებების რაოდენობრივი განსაზღვრა ჩატარდა ევროპული (EuPh), ამერიკული (USP) და ბრიტანული (BP) ფარმაკოპეიებით მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისი რეფერენს სტანდარტული ნიმუშების გამოყენებით:

- [redacted] - [redacted]
- [redacted] - [redacted]
- [redacted] - [redacted]
- [redacted] - [redacted]

ქვემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტების ანოტაციების და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით:

[redacted] მიეკუთვნება β1 ადრენორეცეპტორების სელექტიურ მაბლოკირებელ საშუალებას და ადამიანის ორგანიზმში იწვევს გულის უჯრედების ავტომატიზმის შემცირებას, თრგუნავს გამტარებლობას გულში (წინაგულ-პარაკუჭოვან კვანძში) და



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

ამცირებს აგზნებადობას. შესაბამისად იწვევს გულის მუშაობის დაქვეითებას, წუთმოცულობის შემცირებას, არტერიულ ჰიპოტენზიას (არტერიული წნევის დაქვეითება) და ბრადიკარდიას (გულის შეკუმშვის სიხშირის დაქვეითება).

მიეკუთვნება α2 ადრენორეცეპტორების მასტიმულირებელ საშუალებას, რომელსაც გააჩნია გამოხატული და მდგრადი არტერიული წნევის დამაქვეითებელი მოქმედება. იწვევს გულის შეკუმშვების სიხშირის დაქვეითებას (ბრადიკარდია). ახასიათებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (ცნს) დამორგუნველი მოქმედება, რაც ვლინდება სედაციური და ძილის მომგვრელი ეფექტით. ხასიათდება ადამიანის ორგანიზმში მაღალი ბიოშელწევადობით.

მიეკუთვნება ჰისტამინური H1-რეცეპტორების მახლოვრებელ საშუალებას, რომელსაც გააჩნია საძილე, სედაციური და ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედება. პრეპარატი ხასიათდება მაღალი ბიოშელწევადობით და გაზანგრიდლივებული მოქმედებით (T1/2 = 10 სთ).

აღნიშნული მედიკამენტები ხასიათდებიან ერთმანეთის მიმართ სინერგისტული მოქმედებით (ამლიერებენ ერთმანეთის მოქმედებას ორგანიზმზე).

ერთდროულად მიღებისას სინერგისტული მოქმედება გამოიხატება სედაციური, საძილე და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე დამორგუნველ მოქმედებაში, შეიძლება გამოიწვიოს მკვეთრი არტერიული ჰიპოტენზია, ბრადიკარდია და გაზარდოს ატრიოვენტრიკულური ბლოკადის, კარდიოგენული შოკის და ასისტოლიის განვითარების რისკი.

გარდაცვალების შემდეგ სხეულში მიმდინარეობს რთული ბიოქიმიური პროცესები, რომლებიც დამოკიდებულია მრავალ, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორც არის გარემო პირობები რომელშიც იმყოფება გვამი (გარემოს ტემპერატურა და ტენიანობა, ჰაერის ცირკულაცია, შენობაში ან შენობის გარეთ გვამის მდებარეობა, წყლიან გარემოში ყოფნა/არყოფნა, კანის საფარველის მდგომარეობა, გარდაცვალებიდან გასული დრო და სხვა), რის გამოც ვითარდება სხვადასხვა ხარისხის ლობობით პროცესები.

ლოობითი პროცესები და აბიოტური ფაქტორები (ტემპერატურა, ტენიანობა და სხვა) გავლენას ახდენს გვამში სხვადასხვა ნივთიერებების, მათ შორის მედიკამენტების ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტების კონცენტრაციაზე. კერძოდ, მითითებული ფაქტორები ჰიდროლიზის, ფანგვითი და ბიოქიმიური პროცესების გამო, ამცირებენ ნივთიერებების შემცველობას გვამში. რაც უფრო გამოხატულია ლობობითი პროცესები, მით უფრო მცირდება ნივთიერებების კონცენტრაცია გვამურ ორგანოებში, რაც შესაბამის გავლენას ახდენს ტოქსიკოლოგიური კვლევის შედეგებზე.

მას შემდეგ რაც ნივთიერება მოხვდება სისტემურ სისხლის მიმოქცევის სისტემაში, ის ნაწილდება ორგანიზმის ორგანოების ქსოვილებში. განაწილება მიმდინარეობს არათანაბრად, რაც განპირობებულია: ორგანოების სისხლის მომარაგების ინტენსივობით, ადგილობრივი pH-ით, უჯრედული მემბრანების განვლადობის თავისებურებებით, თვით ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით და სხვა.

ორგანოებში ნივთიერების შეღწევის და წონასწორული განაწილების ხარისხი ასევე დამოკიდებულია ორგანოს მასაზე, ვასკულარიზაციაზე და სამიზნე რეცეპტორების არსებობაზე და მათ რაოდენობაზე.

პერორალური (პირის ღრუდან) გზით მიღებისას, ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებ(ები)ა მხოლოდ საკმლის მომწელებელი ტრაქტიდან შეწოვის შემდეგ ხვდება სისტემურ სისხლის მიმოქცევის სისტემაში და მაშინვე მიემართება ჯერ ღვიძლში, ხოლო შემდეგ გადანაწილდება სხვა ორგანოებში.

თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ორგანოებში აღმოჩენილი (პრეპარატ ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი), (პრეპარატ ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) და (პრეპარატ ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) განაწილება მიუთითებს, რომ სამივე ნივთიერების რაოდენობა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (წონის ერთეულზე გადაანგარიშებით) მნიშვნელოვნად მეტია ვიდრე ღვიძლსა და თირკმლებში. აღნიშნული თანაფარდობა დამახასიათებელია ნივთიერების პერორალური (პირის ღრუს) გზით და არა საინექციო გზით მიღების შემთხვევაში. აქვე აღსანიშნავია, რომ ერთობლივად აღმოჩნდა ცარიელ თვითმკეტ პაკეტში კვალის სახით (იხ. ქიმიური ექსპერტის დასკვნა № 004833520).

ასევე, თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ორგანოებში აღმოჩენილი (პრეპარატ ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) განაწილება მიუთითებს მისი პერორალური (პირის ღრუს) გზით მიღებაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ორგანოებში აღმოჩენილი ნივთიერებებიდან:

(პრეპარატ ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) აღმოჩნდა: 2 ცარიელი ბლისტერის სახით; კვალის სახით ბაკურიანის ცარიელ ბოთლში არსებულ გამჭირვალე უფერო სითხის წვეთებში; ცარიელ თვითმკეტ პაკეტში ასევე კვალის სახით.



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

[redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი), ისევე როგორც [redacted] და [redacted] აღმოჩნდა ცარიელ თვითმკეტ პაკეტში კვალის სახით.

[redacted] [redacted]-ის ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) აღმოჩნდა კონვალუტის ორი ფრაგმენტის (ხუთი ტაბლეტი) სახით.

[redacted] (პრეპარატ [redacted] ფარმაკოლოგიურად აქტიური კომპონენტი) აღმოჩნდა კვალის სახით ბაკურიანის ცარიელ ბოთლში არსებულ გამჭირვალე უფერო სითხის წვეთებში და ცარიელ თვითმკეტ პაკეტში ასევე კვალის სახით (იხ. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები N 004613820, N 004833520).

ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ [redacted] შემცველი პრეპარატი - [redacted] არსებობს მხოლოდ ტაბლეტის სახით. რის გამოც, მისი ორგანიზმში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ პერორალური (პირის ღრუდან) მიღების გზით.

ბაკურიანის ცარიელ ბოთლში არსებულ გამჭირვალე უფერო სითხის წვეთებში აღმოჩნდა β1 ადრენორეცეპტორების მახლოკირებელი საშუალება [redacted] და H1-ჰისტამინური რეცეპტორების მახლოკირებელი (საძილე) საშუალება [redacted]

ტაბლეტის ფორმით არსებული მედიკამენტის შემადგენლობიდან გამომდინარე, მათი სითხეში, მათ შორის წყალში გახსნისას მიიღება სუსპენზია (სითხეში შეტივარებული სხვადასხვა ზომის მყარი ნაწილაკები) ანუ, ასეთ შემთხვევაში სითხე იქნება შემღვრეული და არა გამჭვირვალე და უფერო.

ამავე დროს, ბაკურიანის ცარიელ ბოთლში არსებულ გამჭირვალე უფერო სითხის წვეთებში აღმოჩნდა β1 ადრენორეცეპტორების მახლოკირებელი საშუალება [redacted] და H1-ჰისტამინური რეცეპტორების მახლოკირებელი (საძილე) საშუალება [redacted] კვალის სახით, რაც გამოიწვევს ტაბლეტების გახნას ბოთლში, რადგან ქიმიური ანალიზის შედეგად აღნიშნული ნივთიერებები აღმოჩნდებოდა არა კვალის სახით, არამედ უფრო დიდი რაოდენობით.

შენიშვნა2: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველო;

მეთოდი: „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების იდენტიფიკაცია მასსპექტრების მონაცემთა ბაზის საშუალებით და მათი რაოდენობრივი ანალიზი ალურიონიზაციური, ულტრაიისფერი და/ან მასსპექტრომეტრული დეტექტირებით“;

„ბიოლოგიურ სითხეებში და ქსოვილებში ალკოჰოლის თვისებით-რაოდენობრივი ანალიზი“;

აკრედიტებულია სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი"-ს მიერ, სსტ ისო/იეკ 17025:2010-ის მოთხოვნების შესაბამისად. აკრედიტაციის მოწმობა GAC-TL-0166.



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

აღმოჩენილი ნივთიერება	ღვიძლი	კუჭი	თირკმელი	ნაწლავი	კუნთი
	აღმოჩნდა - 219.4 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 6.3 მგ/კგ	აღმოჩნდა 753.2 მგ/კგ; (45.94 მგ/61 გ) მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 56 მგ/61 გ	აღმოჩნდა - 0.95 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 4.0 მგ/კგ	აღმოჩნდა - 4.5 მგ/კგ	აღმოჩნდა - 132.1 მგ/კგ
	აღმოჩნდა - 16.9 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 14 მგ/კგ	აღმოჩნდა - 4.8 მგ/კგ	აღმოჩნდა - 12.4 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 22 მგ/კგ	აღმოჩნდა - 188.3 მგ/კგ	აღმოჩნდა - 7.7 მგ/კგ
	აღმოჩნდა - 0.014 მგ/კგ	აღმოჩნდა - 0.018 მგ/კგ	აღმოჩნდა - 0.017 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 0.086 მგ/კგ	აღმოჩნდა - 0.06 მგ/კგ	აღმოჩნდა - 0.016 მგ/კგ
	აღმოჩნდა - 11.5 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 74 მგ/კგ	აღმოჩნდა - 8.6 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 116 მგ/ლ	აღმოჩნდა - 20.0 მგ/კგ მინიმალური ლექტალური რაოდენობა: 622 მგ/კგ	აღმოჩნდა - 15.7 მგ/კგ	აღმოჩნდა - 0.34 მგ/კგ

მალხაზ ჯობაძე

D. 3/10/17



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

თამარ კაიშაური

თ. ჯაიშაური

გამოყენებული მასალები

თამარ ზაჩალიაშვილი (დაბ. 19.06.1997 წ. შგზ. თბილისი, რუსთავის გზატ. კორ. ვ ბ. 65. პ.N01017039257). ექსპერტიზა დაიწყო - 22.07.2020 წ. 21:30 სთ. ხელოვნური განათების პირობებში). ექსპერტიზის ჩატარებას ესწრებოდნენ საექსპერტო დაწესებულება „ემპათიას“ ექსპერტი გალინა კარმუშინა [redacted] თარჯიმან მარიამ ცანავასთან ერთად [redacted]

1. Clarke's Analysis of Drugs and Poisons in pharmaceuticals, body fluids and postmortem material. FOURTH EDITION. Consulting Editors Anthony C. Moffat, M. David Osselton, Brian Widdop. Pharmaceutical Press 2011. UK, USA . p.2609
2. Winek's Drug & chemical blood-level data: Charles L. Winek, Wagdy W. Wahba, Charles L. Winek, Jr., B.S. (Pharm.), M.S., and Tracey Winek Balzer B.S. (Pharm.), M.S. 2001
3. Randall C Baselt. Disposition of toxic drugs and chemicals in Man fifth edition. Chemical toxicology institute Foster city, California. 2000. p. 919
4. Marina Stajic, R. Hugh Granger, James C. Beyer. Fatal Metoprolol Overdose. Journal of Analytical Toxicology, Vol. 8, 1984 . pp. 228-230
5. Drug abuse handbook / editor-in-chief, Steven B. Karch. 1998 by CRC Press LLC. p.1123
6. David Michael Wood, Jane Monaghan, Peter Streete. Fatality after deliberate ingestion of sustained-release ibuprofen: A case report. Critical Care Vol 10 No 2, 2006. p. 1-5
7. კატცუნგი ბ. ბაზისური და კლინიკური ფარმაკოლოგია. მეათე გამოცემა. თბილისის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. 2010 წ.
8. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები N 004613820, N 004833520
9. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები N 005163120, N 004855220



004232820

ექსპერტის დასკვნა № 004232820

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მაია გოგიტაური

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მალხაზ ჯოხაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ბესიკ მანჯგალაძე

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: პაატა თუმურაშვილი